ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/21

შეკითხვა:

ადვოკატი დასაქმებულია კერძო კომპანიაში - სასურსათო მაღაზიათა ქსელში - არა პროფესიით. ეკრძალება თუ არა ადვოკატს ამგვარი სახით საქმიანობა და შედეგად, სახეზეა თუ არა მისი მხრიდან პროფესიული რეგულაციების დარღვევა?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ (მუხლი 10.3) კანონში მითითებულია ადვოკატის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კანონის შესაბამისად უნდა იმოქმედოს, მათ შორის ეს ეხება ადვოკატის პროფესიასთან შეუთავსებელ ურთიერთობებს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი თავისი პროფესიით არაა დასაქმებული კონკრეტულ კომპანიაში და არ იკვეთება ადვოკატის მოქმედ სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის არსებობა.